

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №88

2022 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისი

2023 – 2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანების შესაბამისად, დაევალოთ საქართველოს სამინისტროებსა და სახელმწიფო მინისტრის აპარატს, ეთხოვოთ სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა მხარჯავ დაწესებულებებს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შესაბამის აღმასრულებელ ორგანოებს:

მუხლი 1

1. 2022 წლის 11 მარტამდე საქართველოს სამინისტროებმა შესაბამისი მინისტრის ბრძანებით უზრუნველყონ სამუშაო ჯგუფის შექმნა/განახლება, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს.
2. სამუშაო ჯგუფის მუშაობას ხელმძღვანელობს მინისტრი ან სამინისტროს ეკონომიკური/საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის კურატორი მინისტრის მოადგილე, ხოლო მუშაობის პროცესს კოორდინაციას უწევს ეკონომიკური/საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.
3. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში ასევე ჩაერთონ მინისტრის მოადგილეები, შესაბამისი მიმართულების პოლიტიკის განმსაზღვრელი დეპარტამენტების უფროსები/წარმომადგენლები, საქვეუწყებო და სხვა კონტროლს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები/წარმომადგენლები.
4. სამინისტროს გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა შესაძლებელია, ეთხოვოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომელს.
5. სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა შესაძლებელია, ეთხოვოთ სხვა დაინტერესებულ პირებს.
6. სამუშაო ჯგუფმა, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესში, უზრუნველყოს ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ელექტრონული სისტემის (E-BTPS – Budget Transparency and Participation System – ebtps.mof.ge) გავრცელება შესაბამისი სფეროს სხვადასხვა ფოკუსჯგუფში.
7. სამუშაო ჯგუფის პირველი საორგანიზაციო შეხვედრა ჩატარდეს არაუგვიანეს 2022 წლის 31 მარტისა, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტისა და სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის (ჰარმონიზაციის ცენტრის) წარმომადგენლები.

მუხლი 2

1. საქართველოს სამინისტროებმა და სხვა მხარჯავმა დაწესებულებებმა არაუგვიანეს 2022 წლის 28 აპრილისა მოამზადონ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ ინფორმაცია:
 - ა) 2023 – 2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, №1 დანართის შესაბამისად, 2022 – 2025 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით მათთვის განსაზღვრული ასიგნებებისა და რიცხოვნობების ზღვრული მოცულობების ფარგლებში;
 - ბ) დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობებისა და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ ინფორმაციის მომზადებას, №2 დანართის შესაბამისად;



გ) 2023 – 2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ №1ა დანართის შესაბამისად, თუ ასიგნებებისა და რიცხოვნობების ზღვრული მოცულობები განსხვავდება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პარამეტრებისგან.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავმა დაწესებულებებმა ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ინიცირება, რომელიც უნდა დაიწყოს 2023 – 2026 წლების საშუალოვადიან პერიოდში, განახორციელონ „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილების შესაბამისად და ინფორმაცია ასახონ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში.

3. საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის ფარგლებში 2022 წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები) ეფექტიანად წარმართვის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავმა დაწესებულებებმა არაუგვიანეს 2022 წლის 31 მარტისა მოამზადონ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ ინფორმაცია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული, მათ მიერ 2023 – 2026 წლებში განსახორციელებელი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების კონცეფციის ბარათები, „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანების დანართ №5-ის შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 3

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს 2023 – 2026 წლებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობების პირველადი საორიენტაციო ზღვრული მოცულობების შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებებისათვის მიწოდება არაუგვიანეს 2022 წლის 20 მაისისა.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით, საქართველოს მთავრობამ ყოველი წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა.

მუხლი 4

1. საქართველოს სამინისტროებმა უზრუნველყონ 2023 – 2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების გადამუშავება და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად 30 ივნისამდე დამტკიცება, ამ დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობების საორიენტაციო ზღვრული მოცულობების ფარგლებში, №1 დანართის შესაბამისად.

2. საქართველოს სამინისტროებმა, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარადგინონ არაუგვიანეს 2022 წლის 5 ივლისისა.

მუხლი 5

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნების შესრულების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებებისგან მიღებული ინფორმაციის გადამუშავება და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის საქართველოს მთავრობისთვის წარმოდგენა.

მუხლი 6

ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისმა აღმასრულებელმა ორგანოებმა 2022 წლის 1 აგვისტომდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მოწონებული ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი.

მუხლი 7

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანოებმა (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა), ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულებთან შეთანხმებით, უზრუნველყონ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენა არაუგვიანეს 2022 წლის 15 ნოემბრისა.

მუხლი 8

ამ დადგენილების შესრულების კონტროლი და კოორდინაცია განახორციელოს საქართველოს



ფინანსთა სამინისტრომ.

მუხლი 9

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2023-2026 წლები)²

№1.1

პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების, ქვეპროგრამების და
ღონისძიებების აღწერა

პრიორიტეტის დასახელება³ -----

1. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი⁴ -----

¹ საქართველოს სამინისტროებისათვის დანართი ივსება პროგრამების/ქვეპროგრამების დონეზე და უფრო დეტალურ ღონისძიებებად, ვიდრე წლიური ბიუჯეტის კანონშია წარმოდგენილი; სხვა მხარჯავი დაწესებულებებისთვის ივსება იმ პროგრამების/ქვეპროგრამების დონეზე, რაც წლიური ბიუჯეტის კანონით არის განსაზღვრული.

² სამოქმედო გეგმა თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უფრო დეტალურ ღონისძიებებად უნდა იშლებოდეს, ვიდრე ეს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში ან წლიური ბიუჯეტის კანონშია წარმოდგენილი. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიება წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულების შესრულების ნაწილს ან/და შესაბამის სფეროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, მათ შორის შესაბამისი სექტორული ან სხვა სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნაწილს, მნიშვნელოვანია, რომ მიეთითოს აღნიშნული ინფორმაცია, შესაძლებელია ეს ინფორმაცია შინაარსის მიხედვით მიეთითოს, როგორც პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიებების აღწერის ნაწილში, ისე მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების ნაწილში. ასევე, უნდა მიეთითოს დაგეგმილი პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების შესაბამისობა გაეროს მდგრადი განვითარების (SDG) მიზნებთან – 2030, გენდერულ ასპექტებთან, კლიმატის ცვლილებასთან ან სხვა ტიპის სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტებთან შესაბამისობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაძლებელია ერთ პროგრამულ კოდზე მიეთითოს რამდენიმე ტიპის პოლიტიკის კლასიფიკატორი (მაგალითად, გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანი და გენდერული ასპექტები, ან გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანი და კლიმატის ცვლილება და ა.შ.).

³ პრიორიტეტში ივსებისხმება სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებები ახორციელებენ თავიანთ პროგრამებს.

⁴ ივსება მხარჯავი დაწესებულების ყველა პროგრამაზე.

განმახორციელებელი -----

პროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას⁵

პროგრამის აღწერა და მიზანი

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები⁶

⁵ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ნაწილს, ახალი პოლიტიკის მიმართულებაზე ცალკე ივსება როგორც ამ მიმართულების აღწერა და მიზანი, ასევე მოსალოდნელი საბოლოო შედეგები და შეფასების ინდიკატორები. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ფარგლებში რომელიმე ქვეპროგრამა/ღონისძიება წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას, აღნიშნული ცალკე ქვეპროგრამის/ღონისძიების სახით უნდა გამოიყოს და მიეთითოს შესაბამისი აღწერა და მიზანი, შედეგები და შესრულების ინდიკატორები.

⁶ სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში სასურველია ერთ-ერთ ინდიკატორად მიეთითოს პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი;

№	ინდიკატორის დასახელება ⁷	საბაზისო მაჩვენებელი ⁸	მიზნობრივი მაჩვენებელი (2023-2026წწ.) ⁹	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1					
2					
3					
4					
5					

განხორციელების ვადები¹⁰ -----

1.1 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

⁷ ივსება ინდიკატორის დასახელება, მაგ.: პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა (სპეციფიკის გათვალისწინებით), აშენებული/რეაბილიტირებული ობიექტების (სკოლა, გზა, სხვადასხვა ნაგებობები), ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინებით.

⁸ ივსება 2022 წლის მოსალოდნელი საბოლოო მონაცემები, დამატებით შესაძლებელია მიეთითოს 2021 წლის ფაქტობრივი მონაცემები.

⁹ პროგრამების მიზნობრივი მაჩვენებელი ივსება საშუალოვადიანი პერიოდისთვის (2023-2026).

¹⁰ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა დაიწყო ან დასრულდა საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში (საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 4-წლიანიპერიოდი), უნდა მიეთითოს პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღები; იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა მუდმივად ხორციელდება, განხორციელების ვადებში უნდა მიეთითოს „მიმდინარე“.

ქვეპროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას¹¹

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები¹²

№		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
1.	ინდიკატორის დასახელება ¹³				

¹¹ იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ნაწილს, ახალი პოლიტიკის მიმართულებაზე ცალკე ივსება როგორც ამ მიმართულების აღწერა და მიზანი, ასევე მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები. იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამის ფარგლებში რომელიმე ღონისძიება წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას, აღნიშნული ცალკე ღონისძიების სახით უნდა გამოიყოს და მიეთითოს შესაბამისი აღწერა და მიზანი, შედეგები და შესრულების ინდიკატორები.

¹² სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ ქვეპროგრამებთან მიმართებაში სასურველია ერთ-ერთ ინდიკატორად მიეთითოს ქვეპროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი.

¹³ ივსება ინდიკატორის დასახელება, მაგ.: ქვეპროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა (სპეციფიკის გათვალისწინებით), აშენებული/რეაბილიტირებული ობიექტების (სკოლა, გზა, სხვადასხვა ნაგებობები), ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინებით.

№		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
	საბაზისო მაჩვენებელი ¹⁴				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/ადწერა)				
	შესაძლო რისკები				
2.	ინდიკატორის დასახელება¹²				
	საბაზისო მაჩვენებელი ¹³				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/ადწერა)				
	შესაძლო რისკები				
3.	ინდიკატორის დასახელება¹²				
	საბაზისო მაჩვენებელი ¹³				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/ადწერა)				
	შესაძლო რისკები				
4.	ინდიკატორის დასახელება¹²				
	საბაზისო მაჩვენებელი ¹³				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/ადწერა)				
	შესაძლო რისკები				
5.	ინდიკატორის დასახელება¹²				
	საბაზისო მაჩვენებელი ¹³				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა				

¹⁴ ივსება 2022 წლის მოსალოდნელი საბოლოო მონაცემები, დამატებით შესაძლებელია მიეთითოს 2021 წლის ფაქტობრივი მონაცემები. მონაცემები ივსება შესაბამისი თარიღის მითითებით.

№		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
	(%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				

განხორციელების ვადები¹⁵ -----

1.1.1 ღონისძიების დასახელება

ღონისძიების განმახორციელებელი

ქვეპროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას¹⁶

ღონისძიების აღწერა და მიზანი

¹⁵ იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამა დაიწყო ან დასრულდა საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში (საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 4-წლიანიპერიოდი), უნდა მიეთითოს ქვეპროგრამის დაწყების და დასრულების თარიღები; იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამა ხორციელდება მუდმივად, განხორციელების ვადებში უნდა მიეთითოს „მიმდინარე“.

¹⁶ იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიება წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ნაწილს, ახალი პოლიტიკის მიმართულებაზე ცალკე ივსება როგორც ამ მიმართულების აღწერა და მიზანი, ასევე მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები¹⁷

№		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
1.	ინდიკატორის დასახელება¹⁸				
	საბაზისო მაჩვენებელი ¹⁹				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				
2.	ინდიკატორის დასახელება¹⁷				
	საბაზისო მაჩვენებელი ¹⁸				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				
3.	ინდიკატორის დასახელება¹⁷				

¹⁷ სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ ღონისძიებებთან მიმართებაში სასურველია ერთ-ერთ ინდიკატორად მიეთითოს ღონისძიების გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი.

სასურველია, რომ მითითებული იყოს შესაბამისი ინდიკატორის გაზომვისთვის საჭირო მონაცემების წყარო.

¹⁸ ივსება ინდიკატორის დასახელება, მაგ.: ქვეპროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა (სპეციფიკის გათვალისწინებით), აშენებული/რეაბილიტირებული ობიექტების (სკოლა, გზა, სხვადასხვა ნაგებობები), ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინებით.

¹⁹ ივსება 2022 წლის მოსალოდნელი საბოლოო მონაცემები, დამატებით შესაძლებელია მიეთითოს 2021 წლის ფაქტობრივი მონაცემები. მონაცემები ივსება შესაბამისი თარიღის მითითებით.

№		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
	საბაზისო მაჩვენებელი ¹⁸				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				
4.	ინდიკატორის დასახელება¹⁷				
	საბაზისო მაჩვენებელი ¹⁸				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				
5.	ინდიკატორის დასახელება¹⁷				
	საბაზისო მაჩვენებელი ¹⁸				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				

განხორციელების ვადები²⁰ -----

²⁰ იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიება დაიწყო ან დასრულდა საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში (საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 4-წლიანიპერიოდი), უნდა მიეთითოს ღონისძიების დაწყების და დასრულების თარიღები; იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიება ხორციელდება მუდმივად, განხორციელების ვადებში უნდა მიეთითოს „მიმდინარე“.

2023-2026 წლების საშუალოვადიანი ბიუჯეტი

პროგრამული კოდი	N	პრიორიტეტებისა და მათ ფარგლებში განხორციელებული პროგრამის/ქვეპროგრამისა და ღონისძიების დასახელება	დაფინანსება ²¹						შესაბამისობა პოლიტიკის კლასიფიკატორთან ²²
			2023-2026 წლები ²³						
			სულ	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები თანადაფინანსების გარეშე	მ.შ. დონორების დაფინანსებული პროექტების თანამონაწილეობის/ თანადაფინანსების სახსრები	მ.შ. კრედიტები	მ.შ. გრანტები	მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები	
		<i>სულ პრიორიტეტის ჯამი</i>							
		<i>სულ მომუშავეთა რიცხოვნობა</i>							
		<i>მ.შ. შტატით გათვალისწინებული</i>							
		<i>მ.შ. შტატგარეშე მომუშავე</i>							
	I	პრიორიტეტის დასახელება							
		პროგრამის დასახელება							
		პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა							
	1	ქვეპროგრამის დასახელება							
		ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა							

²¹ პროგრამების დაფინანსება საშუალოვადიან პერიოდში გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით სამინისტროსთვის/უწყებისთვის გათვალისწინებული ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში; დანართში წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების დაფინანსება, დაფინანსების ყველა წყაროს მითითებით. საჭიროების შემთხვევაში უნდა დაემატოს დაფინანსების წყაროს სვეტი.

²² უნდა მიეთითოს პროგრამის/ქვეპროგრამის შესაბამისობა პოლიტიკის კლასიფიკატორთან: გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG), გენდერულ ასპექტებთან, კლიმატის ცვლილებასთან და სხვა ტიპის სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტებთან შესაბამისობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაძლებელია ერთ პროგრამულ კოდზე მიეთითოს რამდენიმე ტიპის პოლიტიკის კლასიფიკატორი (მაგალითად, გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანი და გენდერული ასპექტები, ან გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანი და კლიმატის ცვლილება და ა.შ.).

²³ დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაცია ივსება 2023-2026 წლებისთვის, თითოეულ წელზე ცალ-ცალკე.

პროგრამული კოდი	N	პრიორიტეტების და მათ ფარგლებში განხორციელებული პროგრამის/ქვეპროგრამისა და ღონისძიების დასახელება	დაფინანსება ²¹						შესაბამისობა პოლიტიკის კლასიფიკატორთან ²²
			2023-2026 წლები ²³						
			სულ	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები თანადაფინანსების გარეშე	მ.შ. დონორების დაფინანსებული პროექტების თანამონაწილეობის/ თანადაფინანსების სახსრები	მ.შ. კრედიტები	მ.შ. გრანტები	მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები	
	1.1	ღონისძიების დასახელება							
	1.2	ღონისძიების დასახელება							
	1.3	ღონისძიების დასახელება							

	2	ქვეპროგრამის დასახელება							
		ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა							
	1.1	ღონისძიების დასახელება							
	1.2	ღონისძიების დასახელება							
	1.3	ღონისძიების დასახელება							
		-----	---						

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2023-2026 წლები)²⁶

№1ა.1

პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებული პროგრამების, ქვეპროგრამების და
ღონისძიებების აღწერა

პრიორიტეტის დასახელება²⁷ -----

2. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი²⁸ -----

განმახორციელებელი -----

²⁴ საქართველოს სამინისტროებისათვის დანართი ივსება პროგრამების/ქვეპროგრამების დონეზე და უფრო დეტალურ ღონისძიებებად, ვიდრე წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული; სხვა მხარჯავი დაწესებულებებისთვის ივსება იმ პროგრამების/ქვეპროგრამების დონეზე, რაც წლიური ბიუჯეტის კანონით არის განსაზღვრული.

²⁵ დანართი ივსება მხარჯავი დაწესებულების იმ პროგრამაზე/ქვეპროგრამაზე/ღონისძიებაზე, რომელთათვისაც გათვალისწინებულია მხარჯავი დაწესებულების ასიგნებების და რიცხოვნობების ჯამური ზღვრული მოცულობებისგან განსხვავებული პარამეტრები.

²⁶ სამოქმედო გეგმა თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უფრო დეტალურ ღონისძიებებად უნდა იშლებოდეს, ვიდრე ეს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში ან წლიური ბიუჯეტის კანონშია წარმოდგენილი. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიება წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულების შესრულების ნაწილს ან/და შესაბამის სფეროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, მათ შორის შესაბამისი სექტორული ან სხვა სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნაწილს, მნიშვნელოვანია, რომ მიეთითოს აღნიშნული ინფორმაცია, შესაძლებელია ეს ინფორმაცია შინაარსის მიხედვით მიეთითოს, როგორც პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიებების აღწერის ნაწილში, ისე მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების ნაწილში. ასევე უნდა მიეთითოს დაგეგმილი პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების შესაბამისობა გაეროს მდგრადი განვითარების (SDG) მიზნებთან – 2030, გენდერულ ასპექტებთან, კლიმატის ცვლილებასთან ან სხვა ტიპის სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტებთან შესაბამისობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაძლებელია ერთ პროგრამულ კოდზე მიეთითოს რამდენიმე ტიპის პოლიტიკის კლასიფიკატორი (მაგალითად, გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანი და გენდერული ასპექტები, ან გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანი და კლიმატის ცვლილება და ა.შ.).

²⁷ პრიორიტეტში ივსებისხმება სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებები ახორციელებენ თავიანთ პროგრამებს.

²⁸ ივსება მხარჯავი დაწესებულების ყველა პროგრამაზე.

პროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას²⁹

პროგრამის აღწერა და მიზანი

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები³⁰

№	ინდიკატორის დასახელება ³¹	საბაზისო მაჩვენებელი ³²	მიზნობრივი მაჩვენებელი (2023-2026 წწ.)	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1					

²⁹ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ნაწილს, ახალი პოლიტიკის მიმართულებაზე ცალკე ივსება როგორც ამ მიმართულების აღწერა და მიზანი, ასევე მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ფარგლებში რომელიმე ქვეპროგრამა/ლონისძიება წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას, აღნიშნული ცალკე ქვეპროგრამის/ლონისძიების სახით უნდა გამოიყოს და მიეთითოს შესაბამისი აღწერა და მიზანი, შედეგები და შესრულების ინდიკატორები.

³⁰ სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში სასურველია ერთ-ერთ ინდიკატორად მიეთითოს პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი;

³¹ ივსება ინდიკატორის დასახელება, მაგ.: პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა (სპეციფიკის გათვალისწინებით), აშენებული/რეაბილიტირებული ობიექტების (სკოლა, გზა, სხვადასხვა ნაგებობები), ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინებით.

³² ივსება 2022 წლის მოსალოდნელი საბოლოო მონაცემები, დამატებით შესაძლებელია მიეთითოს 2021 წლის ფაქტობრივი მონაცემები.

№	ინდიკატორის დასახელება ³¹	საბაზისო მაჩვენებელი ³²	მიზნობრივი მაჩვენებელი (2023-2026 წწ.)	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
2					
3					
4					
5					

განხორციელების ვადები³³ -----

განმარტება ზღვრული მოცულობებისგან განსხვავებული პარამეტრების ფარგლებში მოთხოვნილ დაფინანსებაზე

1.2 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

ქვეპროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას³⁴

³³ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა დაიწყო ან დასრულდა საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში (საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 4-წლიანი პერიოდი), უნდა მიეთითოს პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღები; იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა მუდმივად ხორციელდება, განხორციელების ვადებში უნდა მიეთითოს „მიმდინარე“.

³⁴ იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ნაწილს, ახალი პოლიტიკის მიმართულებაზე ცალკე ივსება როგორც ამ მიმართულების აღწერა და მიზანი, ასევე მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები. იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამის ფარგლებში რომელიმე ღონისძიება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები³⁵

№		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
1.	ინდიკატორის დასახელება ³⁶				
	საბაზისო მაჩვენებელი ³⁷				

წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას, აღნიშნული ცალკე ღონისძიების სახით უნდა გამოიყოს და მიეთითოს შესაბამისი აღწერა და მიზანი, შედეგები და შესრულების ინდიკატორები.

³⁵ სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ ქვეპროგრამებთან მიმართებაში სასურველია ერთ-ერთ ინდიკატორად მიეთითოს ქვეპროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი.

³⁶ ივსება ინდიკატორის დასახელება, მაგ.: ქვეპროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა (სპეციფიკის გათვალისწინებით), აშენებული/რეაბილიტირებული ობიექტების (სკოლა, გზა, სხვადასხვა ნაგებობები), ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინებით.

³⁷ ივსება 2022 წლის მოსალოდნელი საბოლოო მონაცემები, დამატებით შესაძლებელია მიეთითოს 2021 წლის ფაქტობრივი მონაცემები. მონაცემები ივსება შესაბამისი თარიღის მითითებით.

№		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				
2.	ინდიკატორის დასახელება³³				
	საბაზისო მაჩვენებელი ³⁴				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				
3.	ინდიკატორის დასახელება³³				
	საბაზისო მაჩვენებელი ³⁴				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				
4.	ინდიკატორის დასახელება³³				
	საბაზისო მაჩვენებელი ³⁴				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				
5.	ინდიკატორის დასახელება³³				
	საბაზისო მაჩვენებელი ³⁴				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				

განხორციელების ვადები³⁸ -----

განმარტება ზღვრული მოცულობებისგან განსხვავებული პარამეტრების ფარგლებში მოთხოვნილ დაფინანსებაზე

1.2.1 ღონისძიების დასახელება

ღონისძიების განმახორციელებელი

ღონისძიება წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას³⁹

ღონისძიების აღწერა და მიზანი

³⁸ იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამა დაიწყო ან დასრულდა საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში (საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 4-წლიანიპერიოდი), უნდა მიეთითოს ქვეპროგრამის დაწყების და დასრულების თარიღები; იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამა ხორციელდება მუდმივად განხორციელების ვადებში უნდა მიეთითოს „მიმდინარე“.

³⁹ იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიება წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ნაწილს, ახალი პოლიტიკის მიმართულებაზე ცალკე ივსება როგორც ამ მიმართულების აღწერა და მიზანი, ასევე მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები. იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამის ფარგლებში რომელიმე ღონისძიება წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას, აღნიშნული ცალკე ღონისძიების სახით უნდა გამოიყოს და მიეთითოს შესაბამისი აღწერა და მიზანი, შედეგები და შესრულების ინდიკატორები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები⁴⁰

№		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
1.	ინდიკატორის დასახელება⁴¹				
	საბაზისო მაჩვენებელი ⁴²				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/ადწერა)				
	შესაძლო რისკები				
2.	ინდიკატორის დასახელება³⁸				
	საბაზისო მაჩვენებელი ³⁹				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/ადწერა)				
	შესაძლო რისკები				
3.	ინდიკატორის დასახელება³⁸				
	საბაზისო მაჩვენებელი ³⁹				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/ადწერა)				

⁴⁰ სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ ღონისძიებებთან მიმართებაში სასურველია ერთ-ერთ ინდიკატორად მიეთითოს ღონისძიების გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი.

⁴¹ ივსება ინდიკატორის დასახელება, მაგ.: ღონისძიების მოსარგებლე ბენეფიციართა (სპეციფიკის გათვალისწინებით), აშენებული/რეაბილიტირებული ობიექტების (სკოლა, გზა, სხვადასხვა ნაგებობები), ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინებით.

⁴² ივსება 2022 წლის მოსალოდნელი საბოლოო მონაცემები, დამატებით შესაძლებელია მიეთითოს 2021 წლის ფაქტობრივი მონაცემები. მონაცემები ივსება შესაბამისი თარიღის მითითებით.

№		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
	შესაძლო რისკები				
4.	ინდიკატორის დასახელება³⁸				
	საბაზისო მაჩვენებელი ³⁰				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				
5.	ინდიკატორის დასახელება³⁸				
	საბაზისო მაჩვენებელი ³⁹				
	მიზნობრივი მაჩვენებელი				
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				

განხორციელების ვადები⁴³ -----

განმარტება ზღვრული მოცულობებისგან განსხვავებული პარამეტრების ფარგლებში მოთხოვნილ დაფინანსებაზე

⁴³ იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიება დაიწყო ან დასრულდა საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში (საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 4-წლიანიპერიოდი), უნდა მიეთითოს ღონისძიების დაწყების და დასრულების თარიღები; იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიება ხორციელდება მუდმივად, განხორციელების ვადებში უნდა მიეთითოს „მიმდინარე“.

2023-2026 წლების საშუალოვადიანი ბიუჯეტი⁴⁴

(ზღვრული მოცულობისგან განსხვავებული პარამეტრების ფარგლებში ჯამურად)

პროგრამული კოდი	N	პრიორიტეტებისა და მათ ფარგლებში განხორციელებული პროგრამის/ქვეპროგრამისა და ღონისძიების დასახელება	დაფინანსება ⁴⁵							შესაბამისობა პოლიტიკის კლასიფიკატორთან ⁴⁶
			2023-2026 წლები ⁴⁷							
			სულ	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები თანადაფინანსების გარეშე	მ.შ. დონორების დაფინანსებული პროექტების თანამონაწილეობის/ თანადაფინანსების სახსრები	მ.შ. კრედიტები	მ.შ. გრანტები	მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები	სხვა	
		<i>სულ პრიორიტეტის ჯამი</i>								
		<i>სულ მომუშავეთა რიცხოვნობა</i>								
		<i>მ.შ. შტატით გათვალისწინებული</i>								
		<i>მ.შ. შტატგარეშე მომუშავე</i>								
	I	<u>პრიორიტეტის დასახელება</u>								
		პროგრამის დასახელება								
		პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა								

⁴⁴ დანართი ივსება მხარჯავი დაწესებულების იმ პროგრამაზე/ქვეპროგრამაზე/ღონისძიებაზე, რომელთათვისაც გათვალისწინებულია მხარჯავი დაწესებულების ასიგნებების და რიცხოვნობების ჯამური ზღვრული მოცულობებისგან განსხვავებული პარამეტრები.

⁴⁵ პროგრამების დაფინანსება საშუალოვადიან პერიოდში გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით სამინისტროსთვის/უწყებისთვის გათვალისწინებული ასიგნებების ზღვრული მოცულობებისგან განსხვავებული პარამეტრების ფარგლებში; დანართში წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების დაფინანსება, დაფინანსების ყველა წყაროს მითითებით. საჭიროების შემთხვევაში უნდა დაემატოს დაფინანსების წყაროს სვეტი.

⁴⁶ უნდა მიეთითოს პროგრამის/ქვეპროგრამის შესაბამისობა პოლიტიკის კლასიფიკატორთან: გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG), გენდერულ ასპექტებთან, კლიმატის ცვლილებასთან და სხვა ტიპის სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტებთან შესაბამისობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაძლებელია ერთ პროგრამულ კოდზე მიეთითოს რამდენიმე ტიპის პოლიტიკის კლასიფიკატორი (მაგალითად, გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანი და გენდერული ასპექტები, ან გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანი და კლიმატის ცვლილება და ა.შ.).

⁴⁷ დაფინანსების წყაროების და დაფინანსების მოცულობების შესახებ ინფორმაცია ივსება 2023-2026 წლებისთვის, თითოეული წლისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამული კოდი	N	პრიორიტეტებისა და მათ ფარგლებში განხორციელებული პროგრამის/ქვეპროგრამისა და ღონისძიების დასახელება	დაფინანსება ⁴⁵						შესაბამისობა პოლიტიკის კლასიფიკატორ-თან ⁴⁶
			2023-2026 წლები ⁴⁷						
			სულ	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები თანადაფინანსების გარეშე	მ.შ. დონორების დაფინანსებული პროექტების თანამონაწილეობის/ თანადაფინანსების სახსრები	მ.შ. კრედიტები	მ.შ. გრანტები	მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები	
	1	ქვეპროგრამის დასახელება							
		ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა							
	1.1	ღონისძიების დასახელება							
	1.2	ღონისძიების დასახელება							
	1.3	ღონისძიების დასახელება							

	2	ქვეპროგრამის დასახელება							
		ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა							
	1.1	ღონისძიების დასახელება							
	1.2	ღონისძიების დასახელება							
	1.3	ღონისძიების დასახელება							
		-----	---						

განმარტება ზღვრული მოცულობებისგან განსხვავებული პარამეტრების ფარგლებში მოთხოვნილ დაფინანსებაზე

ინფორმაცია დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობისა და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ ახალი პოლიტიკის მიმართულებების გათვალისწინებით

ცხრილი 1: (ზღვრული მოცულობების ფარგლებში)

პროგრამული კოდი	დასახელება ⁴⁸	დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობა				ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობა (ათასი ლარი) ⁴⁹				შენიშვნა/საფუძველი ⁵⁰	შესაბამისობა პოლიტიკის კლასიფიკატორთან ⁵¹
		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი		
	მხარჯავი დაწესებულება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
	პროგრამა 1										
	პროგრამა 2										
	პროგრამა 3										
	პროგრამა ---										

⁴⁸ დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობისა და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ შეესაბამება უნდა იყოს პროგრამების (ორწყვილიანი პროგრამული კოდები) მიხედვით;

⁴⁹ ასიგნებების ზღვრულ მოცულობებში გათვალისწინებული არ უნდა იყოს დონორების დაფინანსებული პროექტების და ამ პროექტებში თანამონაწილეობის სახსრები;

⁵⁰ 2022 წლის შესაბამისი პერიოდისთვის საქართველოს კანონმდებლობით უკვე მიღებული/გათვალისწინებული ახალი ვალდებულებებისა და ახალი პოლიტიკის განხორციელებასთან მიმართებაში მიეთითება შესაბამისი ახალი ვალდებულებების შესრულების კონკრეტული საფუძველი და შესაბამისი განმარტება და ახალი პოლიტიკის განხორციელების დასაბუთება; ამასთან, დანართს თან უნდა ახლდეს დამატებითი ინფორმაცია არსებული და ახალი პოლიტიკის განხორციელების შესახებ;

⁵¹ უნდა მიეთითოს პროგრამის შესაბამისობა პოლიტიკის კლასიფიკატორთან: გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG), გენდერულ ასპექტებთან, კლიმატის ცვლილებასთან და სხვა ტიპის სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტებთან შესაბამისობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაძლებელია ერთ პროგრამას მიეთითოს რამდენიმე ტიპის პოლიტიკის კლასიფიკატორი (მაგალითად, გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანი და გენდერული ასპექტები, ან გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანი და კლიმატის ცვლილება და ა.შ.).

პროგრამული კოდი	დასახელება ⁴⁸	დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობა				ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობა (ათასი ლარი) ⁴⁹				შენიშვნა/საფუძველი ⁵⁰	შესაბამისობა პოლიტიკის კლასიფიკატორთან ⁵¹
		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი		
	მათ შორის, 2022 წელს არსებული პოლიტიკის ფარგლებში ⁵²	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
	პროგრამა 1										
	პროგრამა 2										
	პროგრამა 3										
	პროგრამა ---										
	მათ შორის, 2023-2026 წლებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ახალი ვალდებულებებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ⁵³	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
	პროგრამა 1										
	პროგრამა 2										
	პროგრამა 3										
	პროგრამა ---										

⁵² ივსება 2022 წლის შესაბამისი პერიოდისთვის არსებული პოლიტიკის ფარგლებში მიმდინარე პროგრამების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით 2023-2026 წლებში საჭირო დასაქმებულთა რიცხოვნობები და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები;

⁵³ ივსება 2022 წლის შესაბამისი პერიოდისთვის საქართველოს კანონმდებლობით უკვე გათვალისწინებული იმ ახალი ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობები და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები, რომელთა ამოქმედების ვადა განსაზღვრულია და ემთხვევა სამუალოვადიან პერიოდს.

პროგრამული კოდი	დასახელება ⁴⁸	დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობა				ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობა (ათასი ლარი) ⁴⁹				შენიშვნა/საფუძველი ⁵⁰	შესაბამისობა პოლიტიკის კლასიფიკატორთან ⁵¹
		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი		
	მათ შორის, 2023-2026 წლებში ახალი (2022 წლისგან განსხვავებული) განსახორციელებლად დაგეგმილი ღონისძიებების (ახალი პოლიტიკის) ფარგლებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ⁵⁴	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
	პროგრამა 1										
	პროგრამა 2										
	პროგრამა 3										
	პროგრამა ---										

ცხრილი 2: (ზღვრული მოცულობებისგან განსხვავებული პარამეტრების ფარგლებში)

⁵⁴ ივსება 2022 წლის შესაბამისი პერიოდისგან განსხვავებული ახალი პოლიტიკის განსახორციელებლად დაგეგმილი პროგრამების ფარგლებში 2023-2026 წლებში საჭირო დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობები და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები, მათ შორის სხვადასხვა პოლიტიკის მატრიცებით და სამოქმედო გეგმებით აღებული ვალდებულებები, რომელთა ამოქმედების ვადა წინასწარ განსაზღვრული არ არის და მხარჯავი დაწესებულება გეგმავს ამოქმედოს საშუალოვადიან პერიოდში.

პროგრამული კოდი	დასახელება ⁵⁵	დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობა				ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობა (ათასი ლარი) ⁵⁶				შენიშვნა/საფუძველი ⁵⁷	შესაბამისობა პოლიტიკის კლასიფიკატორთან ⁵⁸
		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი		
	მხარჯავი დაწესებულება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
	პროგრამა 1										
	პროგრამა 2										
	პროგრამა 3										
	პროგრამა ---										
	მათ შორის, 2022 წელს არსებული პოლიტიკის ფარგლებში⁵⁹	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
	პროგრამა 1										
	პროგრამა 2										
	პროგრამა 3										
	პროგრამა ---										

⁵⁵ დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობისა და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ შეესაბამება უნდა იყოს პროგრამების (ორწყვილიანი პროგრამული კოდები) მიხედვით;

⁵⁶ ასიგნებების ზღვრულ მოცულობებში გათვალისწინებული არ უნდა იყოს დონორების დაფინანსებული პროექტების და ამ პროექტებში თანამონაწილეობის სახსრები;

⁵⁷ 2022 წლის შესაბამისი პერიოდისთვის საქართველოს კანონმდებლობით უკვე მიღებული/გათვალისწინებული ახალი ვალდებულებებისა და ახალი პოლიტიკის განხორციელებასთან მიმართებაში მიეთითება შესაბამისი ახალი ვალდებულებების შესრულების კონკრეტული საფუძველი და შესაბამისი განმარტება და ახალი პოლიტიკის განხორციელების დასაბუთება; ამასთან, დანართს თან უნდა ახლდეს დამატებითი ინფორმაცია არსებული და ახალი პოლიტიკის განხორციელების შესახებ;

⁵⁸ უნდა მიეთითოს პროგრამის შესაბამისობა პოლიტიკის კლასიფიკატორთან: გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG), გენდერულ ასპექტებთან, კლიმატის ცვლილებასთან და სხვა ტიპის სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტებთან შესაბამისობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაძლებელია ერთ პროგრამას მიეთითოს რამდენიმე ტიპის პოლიტიკის კლასიფიკატორი (მაგალითად, გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანი და გენდერული ასპექტები, ან გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანი და კლიმატის ცვლილება და ა.შ.).

⁵⁹ ივსება 2022 წლის შესაბამისი პერიოდისთვის არსებული პოლიტიკის ფარგლებში მიმდინარე პროგრამების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით 2023-2026 წლებში საჭირო დასაქმებულთა რიცხოვნობები და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები;

პროგრამული კოდი	დასახელება ⁵⁵	დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობა				ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობა (ათასი ლარი) ⁵⁶				შენიშვნა/საფუძველი ⁵⁷	შესაბამისობა პოლიტიკის კლასიფიკატორთან ⁵⁸
		2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი		
	მათ შორის, 2023-2026 წლებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ახალი ვალდებულებებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ⁶⁰	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
	პროგრამა 1										
	პროგრამა 2										
	პროგრამა 3										
	პროგრამა ---										
	მათ შორის, 2023-2026 წლებში ახალი (2022 წლისგან განსხვავებული) განსახორციელებლად დაგეგმილი ღონისძიებების (ახალი პოლიტიკის) ფარგლებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ⁶¹	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
	პროგრამა 1										
	პროგრამა 2										
	პროგრამა 3										
	პროგრამა ---										

⁶⁰ ივსება 2022 წლის შესაბამისი პერიოდისთვის საქართველოს კანონმდებლობით უკვე გათვალისწინებული იმ ახალი ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობები და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები, რომელთა ამოქმედების ვადა განსაზღვრულია და ემთხვევა საშუალოვადიან პერიოდს;

⁶¹ ივსება 2022 წლის შესაბამისი პერიოდისგან განსხვავებული ახალი პოლიტიკის განსახორციელებლად დაგეგმილი პროგრამების ფარგლებში 2023-2026 წლებში საჭირო დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობები და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები, მათ შორის სხვადასხვა პოლიტიკის მატრიცებით და სამოქმედო გეგმებით აღებული ვალდებულებები, რომელთა ამოქმედების ვადა წინასწარ განსაზღვრული არ არის და მხარჯავი დაწესებულება გეგმავს ამოქმედოს საშუალოვადიან პერიოდში.

